



დანაშაულის
პრევენციის
ცენტრი



საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამა 2015 წლის ანგარიში

1. არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამა

2010 წლის, ივლისში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება. ამ ცვლილებასთან ერთად ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის მექანიზმი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ბაზაზე პროგრამა 2010 წლის 15 ნოემბერს ამოქმედდა და ამავე წლის 19 ნოემბერს განრიდებულ იქნა პირველი არასრულწლოვანი. თავდაპირველად, პროგრამა იყო საპილოტე და მოქმედებდა საქართველოს მხოლოდ ოთხ ქალაქში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი. 2011 წელს პროგრამას დაემატა ორი ქალაქი: გორი და სამტრედია. 2013 წლის აგვისტომდე პროგრამას ეტაპობრივად ემატებოდა საქართველოს სხვა ქალაქები, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან კი მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნისთვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. პროგრამა ეფექტური საშუალებაა არასრულწლოვნის მართლშეგნების ხელშეწყობის, მისი რესოციალიზაციისა და დაზარალებულის დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენით მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამნაშავესა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების, როგორც მთლიანობის გაჯანსაღებაზე.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია, არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მის მიმართ გამოიყენოს განრიდებისა და მედიაციის პროგრამა. არასრულწლოვნის განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი დაუკავშირდება პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის საქმის კონკრეტული სოციალური მუშაკისთვის დაწერას. სოციალური მუშაკი შეიმუშავებს არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, განრიდების სარეკომენდაციო ღონისძიებას და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს. ანგარიშის საფუძველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან, ხოლო მედიაციის შემთხვევაში - მედიატორთან ერთად ადგენს განრიდების ღონისძიებას და ხელშეკრულების პირობებს. პირობების ჩამოყალიბებისას პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი ითვალისწინებენ დაზარალებულის ინტერესს და მოქმედებენ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების

გათვალისწინებით. შესაბამისად, ხელშეკრულების პირობად აგრეთვე შეიძლება განისაზღვროს, ზიანის ანაზღაურება ან/და დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა.

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს განრიდების გადაწყვეტილებას და საქმეს ჰყავს დაზარალებული, საქმეში ერთვება მედიატორი, რომელიც არის ნეიტრალური პირი. მედიატორის მიზანია დაზარალებულსა და დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანს შორის მოლაპარაკების წარმოება, შერიგებაში დახმარება და ზიანის ანაზღაურების ფორმაზე შეთანხმება. მედიატორი დაზარალებულსა და არასრულწლოვანს აწვდის დეტალურ ინფორმაციას მედიაციის არსის, პროცედურების შესახებ და უხსნის მათ მედიაციის მნიშვნელობას. დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, მოლაპარაკების პროცესის დასრულების შემდეგ მედიატორი მართავს შეხვედრას (ე.წ. მედიაციის კონფერენციას) რა დროსაც დაზარალებული და არასრულწლოვანი პირადად ხვდებიან ერთმანეთს. ყველა მხარესთან შეთანხმებით დგება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, მედიატორი და დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი. ხელშეკრულების შესაბამისად, განრიდების ღონისძიებასთან ერთად არასრულწლოვანს მიეწოდება მისთვის საჭირო სერვისები და დაეკისრება დაზარალებულის ან/და საზოგადოების წინაშე მოვალეობები, რომელთა შემუშავებაში მედიატორიც იღებს მონაწილეობას. არასრულწლოვანს დაეხმარებიან სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

იმ შემთხვევაში, თუ საქმეს არ ჰყავს დაზარალებული, ან დაზარალებული წინააღმდეგია მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, აღნიშნული არ აბრკოლებს განრიდების პროცესს და პროკურორი უფლებამოსილია გააფორმოს არასრულწლოვანთან ხელშეკრულება განრიდების შესახებ. თუმცა დაზარალებულს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ჩაერთოს მედიაციის პროცესში. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, არასრულწლოვანის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ არასრულწლოვანმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები. ამ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი არასრულწლოვანის საქმეს კვლავ პროკურორს დაუბრუნებს. პროკურორი კი უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ამ არასრულწლოვანის მიმართ. ასეთი შესაძლებლობის არსებობამ კარგად უნდა დააფიქროს არასრულწლოვანი და უზრუნველყოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

2014 წლის ნოემბრამდე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულს. 2014 წლის 11 ნოემბრიდან პროგრამა გავრცელდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. აღნიშნული ცვლილებებით შეიცვალა და დაიხვეწა 2010 წლიდან პროგრამის პრაქტიკაში გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები და სხვადასხვა პროცედურული საკითხებიც. მათ შორის, დაწესდა პროგრამაში მომუშავე პროფესიონალთათვის სამუშაო ვადები. ასევე, თუ წინათ მედიაციის შესახებ დაზარალებულს ინფორმაციას პროკურორი აწვდიდა და მხოლოდ დაზარალებულის მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში ერთვებოდა მედიატორი, დღეისათვის იგი პროცესში პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ერთვება, რაც ზრდის მედიაციით დასრულებული საქმეების რაოდენობას. შესაბამისად, ამცირებს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულსა და არასრულწლოვანს შორის წარმოშობილი კონფლიქტების რაოდენობას და ზრდის, კმაყოფილ დაზარალებულთა რიცხვს.

2016 წლის 1-ლი იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომლის მიხედვითაც ბევრ სხვა ნოვაციასთან ერთად კიდევ უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა განრიდების მექანიზმი. კოდექსის მიხედვით განრიდება გახდა პრიორიტეტული და კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია პირველ რიგში განიხილოს განრიდების შესაძლებლობა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს ფიქრი სისხლისსამართლებრივ დევნაზე. განრიდება გავრცელდა 14-18 წლის არასრულწლოვნების გარდა 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდებზეც. განრიდების უფლებამოსილება აგრეთვე მიენიჭა სასამართლოსაც, 2016 წლის 1-ლი იანვრიდან მოსამართლე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან/და საკუთარი ინიციატივით საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდების მიზნით. მნიშვნელოვანი ცვლილება აგრეთვე არის ის, რომ მედიატორის როლი კიდევ უფრო გაიზარდა, კოდექსის მიხედვით პროკურორისა და სოციალური მუშაკის დასწრება მედიაციის კონფერენციაზე სავალდებულო აღარაა.

2. 2015 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები

2015 წლის 5-7 მარტს საერთაშორისო ორგანიზაცია PH International-ის მხარდაჭერით განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მომუშავე მედიატორებისთვის ჩატარდა სუპერვიზიის შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მედიატორებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია და შეხვედრის ფორმატიდან გამომდინარე, ჰქონდათ საშუალება ექსპერტთან ერთად ემსჯელათ პრაქტიკაში გამოვლენილ სირთულეებზე.

ასევე, ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით მედიაციის საკითხებში საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი ავსტრიელი ექსპერტის მიერ ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგი განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მომუშავე მედიატორებისათვის.

განრიდებისა და მედიაციის საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერებისა და პროგრამაში მონაწილე პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ორგანიზებით და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით 2015 წლის, 19-21 მარტს განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული სარეზერვო პროკურორებისათვის, ჩატარდა ტრენინგი. ტრენინგის შედეგად, პროკურორებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი და მედიატორი.

2015 წლის მარტში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ განრიდებისა და მედიაციის სამმართველოს მედიატორებისათვის სამართალში სამდღიანი ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგი მედიაციის სახლში გაიმართა. რის ფარგლებშიც მსმენელებს მიეწოდათ ინფორმაცია სამართალიდან იმ მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რომლებიც მათ პრაქტიკულ საქმიანობაში სჭირდებათ. ასევე, გაეცნენ სამართლის ზოგად პრინციპებს, დარგებს და სისტემებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სისხლის სამართალს. მედიატორებს, ტრენინგზე მიღებული ცოდნა, დაეხმარებათ უფრო ეფექტურად განახორციელონ პრაქტიკული საქმიანობა.

2015 წლის მაისში დანაშაულის პრევენციის ცენტრს, მედიაციის საკითხებზე მომუშავე ბელგიელი ექსპერტი, ლეუვენის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ფაკულტეტის

ხელმძღვანელი ივო ერცენი ეწვია. მან იუსტიციის სამინისტროში სახელწმიფო უწყებების წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო ზრდასრულ სამართალდამრღვევსა და დაზარალებულს, ასევე პატიმარსა და დაზარალებულს შორის მედიაციის ბელგიური მოდელის გაცნობა, მათი გამოცდილების გაზიარება და საქართველოში მედიაციის განვითარების სამომავლო პერსპექტივაზე მსჯელობა. ასევე, ივო ერცენმა დანაშაულის პრევენციის ცენტრის მედიაციის სახლში პრაქტიკოს მედიატორებთან ორდღიანი სამუშაო შეხვედრები გამართა, რომლებსაც იუსტიციის სასწავლო ცენტრის, გაეროს ბავშვთა ფონდის “UNICEF” საქართველოს ოფისის და პროექტ „ჰარმონის“ წარმომადგენლები დაესწრნენ. ორდღიანი სამუშაო ჯგუფის თემა იყო სასწავლო კურსის მოდელის შემუშავება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მედიაციის ინსტრუმენტის ფართო გამოყენებისთვის. სამუშაო ვიზიტი ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ხელშეწყობით განხორციელდა.

2015 წლის ოქტომბერში, გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებით საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის, წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაცნობისა და აღდგენით მართლმსაჯულებაში არსებული ცოდნის გაღრმავების მიზნით, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორი და განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერი დაესწრნენ საერთაშორისო კონფერენციას აღდგენითი მართლმსაჯულებისა და პრობაციის თემაზე ქალაქ პრადში, რომელიც ორგანიზებული იყო „ევროპის პრობაციის ასოციაციის“ და ჩეხეთის რესპუბლიკის „პრობაციისა და მედიაციის ცენტრის“ მიერ.

2015 წლის დეკემბერში ჩატარდა ტრენინგი სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ მედიატორთათვის არასრულწლოვანთა სპეციალიზაციაში.

2015 წლის დეკემბერში ასევე გაიმართა კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც შეჯამდა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ამოქმედებიდან 5 წლის შედეგები. კონფერენციაზე დაჯილდოვდნენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული უწყებების თანამშრომლები განსაკუთრებით წარმატებული საქმიანობისათვის.

2015 წლის დეკემბერში, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შემაჯამებელ კონფერენციაზე გაიმართა სასწავლო კურსის „მედიაცია სისხლის სამართალში“ სახელმძღვანელოს პრეზენტაცია, რომელიც მომზადდა ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით. სახელმძღვანელო მომზადდა ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ. დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან სახელმძღვანელოს სამართლებრივი ნაწილის მომზადებაზე მუშაობდა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერი.

3. პროგრამის შედეგები

2015 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 296 არასრულწლოვანი. აქედან 143 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 114 მედიაციის საერთო შეხვედრა.

2010 წლიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საერთო ჯამში განრიდებულ იქნა 1038 არასრულწლოვანი.

3.1. წარმატებით დასრულებული მედიაციის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა რაოდენობის მიხედვით. (საქმეებში სადაც კონკრეტული დაზარალებული არსებობდა):

	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
წარმატებით დასრულდა	25%	18 %	51%

3.2. წარმატებით დასრულებული მედიაციის კონფერენციები:

	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
წარმატებით დასრულდა	34 მედიაციის კონფერენცია	28 მედიაციის კონფერენცია	114 მედიაციის კონფერენცია

3.3. მედიაციის ჩაშლის მიზეზები 2015 წელს

მიზეზი	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
დაზარალებული არ არსებობდა	7	2%
მედიაციაზე უარი განაცხადა მედიატორმა	71	24%
მედიაციაზე უარი განაცხადა დაზარალებულმა	67	23%
სხვა	8	3%
მედიაცია წარმატებით დასრულდა	143	48%
სულ	296	

3.4. 2013-2015 წლების მონაცემები:

	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნები	332 საქმე	204 საქმე	296 საქმე
აქედან კონკრეტული დაზარალებული არსებობდა	203 საქმე	197 საქმე	282 საქმე
სხვა			7 საქმე
მედიაცია შედგა	51 საქმე	36 საქმე	143 საქმე
პროცენტული მაჩვენებელი	25%	18%	51%

3.5. 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები რაიონული პროკურატურების მიხედვით:

პროკურატურის დასახელება	რაოდენობა	პროცენტული მაცვენებელი
დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა	1	0%
ქუთაისის რაიონული პროკურატურა	10	3%
ზესტაფონის რაიონული პროკურატურა	0	0%
საჩხერის რაიონული პროკურატურა	6	2%
სამტრედიის რაიონული პროკურატურა	0	0%
ამბროლაურის რაიონული პროკურატურა	0	0%
კახეთის საოლქო პროკურატურა	2	1%
გურჯაანის რაიონული პროკურატურა	9	3%
სიღნაღის რაიონული პროკურატურა	5	2%
თელავის რაიონული პროკურატურა	14	5%
სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა	2	1%
ახალციხის რაიონული პროკურატურა	9	3%
ახალქალაქი-ნინოწმინდის რაიონული პროკურატურა	6	2%
სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა	1	0%
ფოთის რაიონული პროკურატურა	3	1%
ზუგდიდის რაიონული პროკურატურა	18	6%
სენაკის რაიონული პროკურატურა	6	2%
მესტიის რაიონული პროკურატურა	0	0%
შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო	0	0%
გორის რაიონული პროკურატურა	11	4%
ხაშურის რაიონული პროკურატურა	8	3%
მცხეთის რაიონული პროკურატურა	8	3%
ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა	1	0%
რუსთავის რაიონული პროკურატურა	13	4%
ბოლნისის რაიონული პროკურატურა	0	0%
მარნეულის რაიონული პროკურატურა	9	3%
აჭარის ა/რ პროკურატურა	1	0%
ბათუმის რაიონული პროკურატურა	27	9%
ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურა	2	1%
ოზურგეთის რაიონული პროკურატურა	17	6%
თბილისის პროკურატურები	104	35%
მთავარი პროკურატურა	3	1%
აფხაზეთის ა/რ პროკურატურა	0	0%
სულ	296	

3.6. 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით:

რეგიონი	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
იმერეთი	16	5%
რაჭა	0	0%
კახეთი	28	9%
სამცხე ჯავახეთი	15	5%
სამეგრელო - ზემო სვანეთი	27	9%
შიდა ქართლი	19	6%
მცხეთა-მთიანეთი	8	3%
ქვემო ქართლი	22	7%
აჭარა	29	10%
გურია	17	6%
თბილისის პროკურატურები	104	35%
მთავარი პროკურატურა/საოლქო პროკურატურები	11	4%
სულ	296	

3.7. 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები თვეების მიხედვით:

თვე	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
იანვარი	14	5%
თებერვალი	16	5%
მარტი	29	10%
აპრილი	27	9%
მაისი	28	9%
ივნისი	32	11%
ივლისი	27	9%
აგვისტო	25	8%
სექტემბერი	14	5%
ოქტომბერი	21	7%
ნოემბერი	15	5%
დეკემბერი	48	16%
სულ	296	

3.8. 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები სქესის მიხედვით:

სქესი	საქმეების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
მდედრობით	26	9%
მამრობითი	270	91%
სულ	296	

3.9. განრიდებულთა მონაცემები დანაშაულის ჩადენის დროს ასაკის მიხედვით

ასაკი	საქმეების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
14 წლის	52	18%
15 წლის	61	21%
16 წლის	75	25%
17 წლის	108	36%
სულ	296	

3.10. 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით

კატეგორია	საქმეების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
მძიმე	95	32%
ნაკლებად მძიმე	201	68%
სულ	296	

3.11. 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით:

ხანგრძლივობა	საქმეების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
1 თვე	19	6%
1.5 თვე	1	0%
2 თვე	129	44%
2.5 თვე	4	1%
3 თვე	93	31%
4 თვე	35	12%
5 თვე	6	2%
6 თვე	9	3%
7 თვე	-	0%
8 თვე	-	0%
9 თვე	-	0%
10 თვე	-	0%
11 თვე	-	0%
12 თვე	-	0%
სულ	296	

3.12. 2010- 2015 წლების სტატისტიკური მონაცემები რაიონული პროკურატურების მიხედვით:

პროკურატურის დასახელება	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა	1	0%
ქუთაისის რაიონული პროკურატურა	66	6%
ზესტაფონის რაიონული პროკურატურა	0	0%
საჩხერის რაიონული პროკურატურა	14	1%
სამტრედიის რაიონული პროკურატურა	24	2%
ამბროლაურის რაიონული პროკურატურა	1	0%
კახეთის საოლქო პროკურატურა	2	0%
გურჯაანის რაიონული პროკურატურა	27	3%
სიღნაღის რაიონული პროკურატურა	9	1%
თელავის რაიონული პროკურატურა	31	3%
სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა	2	0%
ახალციხის რაიონული პროკურატურა	36	3%
ახალქალაქი-ნინოწმინდის რაიონული პროკურატურა	13	1%
სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა	1	0%
ფოთის რაიონული პროკურატურა	6	1%
ზუგდიდის რაიონული პროკურატურა	37	4%
სენაკის რაიონული პროკურატურა	18	2%
მესტიის რაიონული პროკურატურა	3	0%
შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო	2	0%
გორის რაიონული პროკურატურა	49	5%
ხაშურის რაიონული პროკურატურა	19	2%
მცხეთის რაიონული პროკურატურა	33	3%
ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა	2	0%
რუსთავის რაიონული პროკურატურა	54	5%
ბოლნისის რაიონული პროკურატურა	15	1%
მარნეულის რაიონული პროკურატურა	33	3%
აჭარის ა/რ პროკურატურა	1	0%
ბათუმის რაიონული პროკურატურა	83	8%
ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურა	5	0%
ოზურგეთის რაიონული პროკურატურა	35	3%
თბილისის პროკურატურები	412	40%
მთავარი პროკურატურა	4	0%
აფხაზეთის ა/რ პროკურატურა	0	0%
სულ	1038	

3.13. 2010-2015 წლების სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით:

რეგიონი	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
იმერეთი	104	10%
რაჭა	1	0%
კახეთი	67	6%
სამცხე ჯავახეთი	49	5%
სამეგრელო - ზემო სვანეთი	64	6%
შიდა ქართლი	68	7%
მცხეთა-მთიანეთი	33	3%
ქვემო ქართლი	102	10%
აჭარა	88	8%
გურია	35	3%
თბილისის პროკურატურები	412	40%
მთავარი პროკურატურა/საოლქო პროკურატურები	15	1%
სულ	1038	

3.14. 2010-2015 წლების სტატისტიკური მონაცემები სქესის მიხედვით:

სქესი	საქმეების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
მდედრობით	96	9%
მამრობითი	942	91%
სულ	1038	

3.15. 2010-2015 წლების სტატისტიკური მონაცემები ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით:

ხანგრძლივობა	საქმეების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
1 თვე	112	11%
1.5 თვე	10	1%
2 თვე	314	30%
2.5 თვე	5	0%
3 თვე	366	35%
4 თვე	118	11%
5 თვე	34	3%
6 თვე	77	7%
7 თვე	1	0%
8 თვე	-	0%
9 თვე	1	0%
10 თვე	-	0%
11 თვე	-	0%
12 თვე	-	0%
სულ	1038	

4. განრიდებულ არასრულწლოვანთა ხელშეკრულების ხშირად გამოყენებული პირობები - სერვისები და ვალდებულებები

განათლება:

- იაროს პედაგოგთან წერა-კითხვისა და მათემატიკური უნარების განვითარების მიზნით
- განათლების მნიშვნელობისა და აუცილებლობის გაცნობიერების მიზნით გაიაროს ინდივიდუალური სესიები სოც.მუშაკთან
- წაიკითხოს მხატვრული/შემეცნებითი ლიტერატურა
- წაიკითხოს მოტივაციურ-შთამაგონებელი იგავი
- მოემზადოს მართვის მოწმობის თეორიული გამოცდისთვის
- აიღოს ცხრა კლასის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი ატესტატი
- იაროს კურსებზე კომპიუტერული უნარების განვითარების მიზნით
- იაროს ინგლისური და სომხური ენების შემსწავლელ კურსებზე
- გაეცნოს სოც.მუშაკის მიერ შერჩეულ საკითხებს ქართული კანონმდებლობიდან
- დაწეროს თავისუფალი თემა
- მოიძიოს ინფორმაცია და გააკეთოს პრეზენტაცია ეკონომიკური ძალადობის უარყოფითი ფაქტორების შესახებ
- მოიძიოს სტატისტიკა საქართველოში ავტოვარიის რიცხვისა და მათი ძირითადი მიზეზების შესახებ
- დაწეროს თემა ფიზიკური ძალადობის საკითხთან დაკავშირებით
- საპატიო მიზეზის გარეშე არ გააცდინოს გაკვეთილები
- წიგნიდან „სამართლის ქალაქი“ გაეცნოს სოციალური მუშაკის მიერ შერჩეულ საკითხებს
- გაიაროს ქართული ენის მოსამზადებელი კურსი
- ჩააბაროს ექსტერნად მეცხრე კლასის გამოცდები
- დაესწროს ინფორმაციულ სესიებს და მათ ფარგლებში შეისწავლოს სამოტივაციო წერილისა და რეზიუმეს მომზადება
- მოამზადოს მოხსენება დავით აღმაშენებელზე და სოციალურ მუშაკთან წარდგენის შემდეგ, მოხსენება გააკეთოს სკოლაში

სპორტი და ხელოვნება:

- იაროს ფეხბურთის წრეზე
- ჩაერთოს სპორტულ აქტივობებში
- იაროს აღმოსავლური ორთაბრძოლის შემსწავლელ კურსებზე
- იაროს ძალოსნობის წრეზე
- იაროს ხელბურთის წრეზე
- იაროს სამხატვრო წრეზე
- წაიკითხოს მხატვრული/შემეცნებითი ლიტერატურა
- შექმნას თვითშემოქმედებითი ნახატი სიკეთისა და თანადგომის თემატიკაზე

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია:

- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „დანაშაულის გაცნობიერება“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ცხოვრებისეული ფასეულობები“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ასერტული ქცევა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „კონფლიქტების მართვა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „აზარტული თამაშების მავნე ზეგავლენა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „სამოქალაქო განათლება“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ბრაზის მართვა, შფოთვა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „კოგნიტური უნარ-ჩვევები“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ემპათია“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „მომავლის დაგეგმვა“
- ჩაერთოს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ლიდერთა სახლის სხვადასხვა აქტივობებში
- გაიაროს ინდივიდუალური სესია თემაზე „ასერტული ქცევა“;
- გაიაროს ინდივიდუალური სესია თემაზე „კომუნიკაცია“;
- გაიაროს ინდივიდუალური სესია თემაზე „ცხოვრებისეული ფასეულობები“;
- გაიაროს ინდივიდუალური სესიები სოციალურ მუშაკთან შემდეგ თემაზე „ფსიქოლოგიის მოკლე კურსი მოზარდთათვის,,
- გაიაროს ინდივიდუალური სესიები სოციალურ მუშაკთან შემდეგ თემაზე „საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა ემოციური აგრესიისა და კონფლიქტის მართვა,,
- გაიაროს ინდივიდუალური სესიები სოციალურ მუშაკთან შემდეგ თემაზე „თამბაქოს მავნე ზეგავლენა და მავნე ჩვევების დაძლევა“
- გაიაროს ინდივიდუალური ფსიქოლოგიური კონსულტაცია
- ჩაერთოს ორგანიზაციის „world vision“ პროექტში მისთვის საჭირო სერვისების მიღების მიზნით
- დაესწროს ფილმის ჩვენებას და მიიღოს მონაწილეობა დისკუსიაში
- სოციალურ მუშაკს წარუდგინოს პრეზენტაცია თემაზე „როგორ ავიცილოთ თავიდან დანაშაულებრივი ქმედება“
- დაწეროს ესეე მაღაზიაში მომუშავე კონსულტანტების სამუშაოს შესახებ
- ჩაერთოს ვიდეორგოლებისა და ხატვის კონკურსში
- ჩაერთოს პროექტში „წიგნის კლუბი“
- მიიღოს მონაწილეობა „CYNC კვირეულში,, რომელიც ტარდება „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის,, მიერ
- მიიღოს მონაწილეობა დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო ღონისძიებებში

სერვისები პროფესიული განვითარებისათვის:

- გააკეთოს პროფესიული არჩევანი და გაიაროს შესაბამისი პროფესიით
- საქმიანობისთვის საჭირო მოსამზადებელი კურსი
- გაიაროს ავტომობილის შიდა სავალი ნაწილების ტექნიკოსის პროფესიული კურსი
- გაიაროს IT-ის კურსი
- იაროს ქარგვის კურსებზე

დაზარალებულის წინაშე ვალდებულებები:

- დაეხმაროს დაზარალებულს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში
- დაეხმაროს დაზარალებულს საკუთარ მაღაზიაში სურსათის აღრიცხვა-დალაგებაში
- აანაზღაუროს დაზარალებული მაღაზიისთვის მიყენებული ზიანი
- დაეხმაროს წყალმომარაგების სამსახურის თანამშრომლებს სამსახურის კუთვნილი მიწების მონიტორინგისა და შეკეთების საქმეში
- დაეხმაროს საცურაო აუზის ხელმძღვანელობას ეზოს მოწესრიგებაში

საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობები:

- განახორციელოს მოხალისეობრივი საქმიანობა პანსიონატში
- მიიღოს მონაწილეობა ტაძრის ეზოს დალაგება-დასუფთავებაში
- ჩაერთოს პროექტში „ახალი ელექტრონული ანთოლოგია მოზარდებს“
- „სათნოების სახლის“ თანამშრომლებს დაეხმაროს გადაადგილების პრობლემის მქონე ხანდაზმულთათვის საკვების მიწოდებაში
- დაეხმაროს სკოლას სამეურნეო საქმიანობაში
- ორგანიზება გაუკეთოს სკოლის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას
- ხატვით დაინტერესებულ ბავშვებს ჩაუტაროს ხატვის გაკვეთილები და გაუწიოს ორგანიზება საკუთარი ნახატების გამოფენას
- მიიღოს მონაწილეობა პროექტში „ორი თაობა“
- მიიღოს მონაწილეობა სოფელში საგაზაფხულო მუშაობაში
- მეზობელი არასრულწლოვნები ავარჯიშოს კრივში
- კეთილმოწყობის სამსახურს დაეხმაროს ქალაქის გამწვანების სამუშაოების შესრულებაში
- დაეხმაროს საბავშვო ბაღის მომსახურე პერსონალს
- მიიღოს მონაწილეობა მუზეუმის დასუფთავების ერთჯერად აქტივობაში
- მოხალისეობრივად დაეხმაროს წითელი ჯვრის საზოგადოების დღის სოციალურ ცენტრს
- დარგოს ხეები და გაუკეთოს დამცავი ბადე ქარისა და პირუტყვისაგან
- მიიღოს მონაწილეობა ისტორიული ძეგლების დასუფთავებაში
- მიიღოს მონაწილეობა პროექტის - „სამოქალაქო ინიციატივა“ ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებაში „ქიზიყური შემოდგომა“, რომელიც მოიცავს სკვერში დეკორაციის შექმნას, ლიტერატურული საღამოების გამართვას და სხვა აქტივობებს
- მიიღოს მონაწილეობა ეკლესიის მშენებლობაში
- მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში ჩაატაროს მუსიკის გაკვეთილები
- მოხალისეობრივად დაეხმაროს შშმ პირებს
- დაეხმაროს ოჯახს სამეურნეო საქმიანობაში
- ბავშვთა სახლში თანატოლებს წარუდგინოს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული პრეზენტაციები
- განახორციელოს საკუთარ სოფელში გარემოს დაცვასთან დაკავშირებული აქციების ორგანიზება
- იაროს მშობლის ავტოსახელოსნოში და დაეხმაროს მას შესაბამის საქმიანობაში
- მეგობრების დახმარებით შეაგროვოს ლიტერატურა და გადასცეს მირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებს
- განახორციელოს მოხალისეობრივი საქმიანობა ბიბლიოთეკაში
- დაეხმაროს სოფელში მცხოვრებ მოხუცს საოჯახო საქმიანობაში

- განახორციელოს ვიზიტები გსმ ბავშვთა დღის ცენტრში და მომსახურე პერსონალთან ერთად იზრუნოს იქ მყოფ ბავშვებზე
- დაეხმაროს ფიზ-კულტურის მასწავლებელს „მხიარული სტარტების“ სპორტული აქტივობის ორგანიზებაში

შეზღუდვები და ვალდებულებები:

- თავი აარიდოს აზარტულ სათამაშო კლუბებში შესვლას
- აეკრძალოს საზღვრის გადაკვეთა.
- ღამის საათებში(21:00) არ იმყოფებოდეს ქუჩაში, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.
- შეზღუდოს გართობის მიზნით კომპიუტერთან ჯდომის დრო და უფრო მეტად გამოიყენოს ინფორმაციული თვალსაზრისით
- ღამის საათებში არ იმყოფებოდეს მარტო გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა
- დაევალოს მშობელს შვილის დღის რეჟიმის სათანადო კონტროლი და მოხდეს მათთვის სათანადო ტრენინგების ჩატარება



ბანრიდება



საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო



დანაშაულის
პრევენციის
ცენტრი



საქართველოს
მთავარი
პროკურატურა



პრობაციის
ეროვნული
სააგენტო